პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

შაბათი, 5 ივლისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი არმიელი

№ 540 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვ. ნეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სა თამდე

წითელ-არმიელებო, წითელ-მეზღვაურებო, მეთაურებო, პოლიტ-მუშაკებო—ყველამ **კოოპერაციაში.**

მწყობრი მეგობრული ღონისძიებით გავამლიეროთ ჩვენი **კოოპერაცია.**

**კოოპერაცია**--სწორი გზაა კომუნიზმისაკენ.

## კოოპერაციის დღე.

დღეს ჩვენ მეორეჯერ ვდღესასწაულობთ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს.

კოოპერაცია უდიდესი იარაღია მშრომელთა ხალხის ხელში კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და სოციალიზმის განხორციელების საქმეში.

ამ ჟამად არ მოიპოვება არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო სადაც ფართედ არ გაეშალოს თავისი ქსელი სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა და სხვა სახის კოოპერაციას. კოოპერაცია უმეტესად და უმთავრესად თავის რიგებისაკენ იპყრობს მშრომელთა მასების ფართო ფენებს. ამიტომაც ის შეიქმნა ერთ-ერთ უებარ საშვალებათ მუშათა კლასისათვის მისი მატერიალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

კოოპერაციის გაფურჩქვნა, მისი თავის მოწოდების სიმაღლეზე დაყენება შეიძლება იქ მხოლოდ, სადაც ბატონობენ მუშები და გლეხები.

დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში კოოპერაცია განიცდის ისეთივე შევიწროებას, როგორც მუშები. ზოგ შემთხვევაში კოოპერაცია სასტიკად იდევნება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფაშისტურ იტალიაში და ბულგარეთში.

ამიტომაც კოოპერაციაც, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი რევოლიუციონური პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის, სასტიკი მოწინააღმდეგეა ფაშისტურ-იმპერიალისტური პოლიტიკის და კაპიტალიზმის შეურიგებელი მტერია.

დღეს კოოპერაცია საერთაშორისო მასშტაბში ახდენს თავის ძალების დემონსტრაციას, მოუწოდებს მუშებს და გლეხებს გაამაგრონ მისი რიგები.

და კოოპერაცია დღეს ამაღლებს თავის ხმას აგრეთვე ბურჟუაზიის ფაშისტური-იმპერიალისტური მტაცებლური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ახალი ომებით ემუქრება კაცობრიობას, რასაც შედეგათ მოყვება მშრომელი ხალხის მილიონობით გაჟლეტა და რასაკვირველია მრავალი კოოპერატიული ორგანიზაციების განადგურება.

ძირს ფაშიზმი, პირსისხლიანი კაპიტალიზმი, რომელიც ანადგურებს მუშათა კლასის კეთილდღეობას და კოოპერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს მშვიდობიანობის ერთგულ დარაჯს და კოოპერაციის საუკეთესო მეგობარს!

აი კოოპერაციის საერთაშორისო დღის მთავარი ლოზუნგები.

კერძოდ ჩვენ საბჭოთა კავშირში კოოპერაციას დაკისრებული აქვს მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა—დაიპყროს შინაური ბაზარი და დაასამაროს კერძო კაპიტალი.

ყოველივე ამას ის შესძლებს მაშინ, თუ კი მას გვერდში ამოუდგება ყველა მუშები, მშრომელი გლეხობა და ჩვენი წ. არმიაც.

კოოპერაციის კეთილდღეობა ნიშნავს ჩვენს კეთილდღეობას.

ეს ერთი მთავარი ანდერძია, რომელიც დაგვიტოვა ამ. ლენინმა. ხელი შეუწყოთ კოოპერაციის განვითარებას და დავაყენოთ ის იდეალურ სიმაღლეზე.

ძვირფასი ბელადის ეს ანდერძი ჩვენ უნდა შევასრულოთ პირნათლად. ამ საქმის შესრულებაში არ უნდა ჩამორჩეს არც წითელი არმია, რომელიც მუდამ მოწინავე ხაზზე იყო ყოველგვარი სახის ფრონტებზე, რომელიც კი აღმოუჩნდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას.

კოოპერაციის გამაგრებისა და განმტკიცების ფრონტზე წითელი არმია წინ უნდა იყოს.

წითელ არმიელებო, კომანდირებოდა პოლიტ-მომუშავენო, ყველამ, როგორც ერთმა, ჩადექით კოოპერაციის რიგებში!

გაუმარჯოს კოოპერაციის საერთაშორისო დღეს!

ძირს ფაშიზმი!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

---

**მთელი საქმე იმაშია, რომ შეგვეძლოს შეაერთოთ რევოლიუციონური მოქნილება და რევოლიუციონური ენტუზიაზმი შეგნებულ ვაჭრობის ცოდნასთან. ეს სავსებით საკმარისია კარგი კოოპერატორისათვის.**

**ლენინი.**

---

## ბრაზილია აპირებს სსრკ-ს ცნობას.

რიო-დე-ჟანეიროდან მიღებულ ცნობით, ბრაზილიის პარლამენტის წევრმა აზევედო ლამამ (მთავრობის პარტიის წევრია) რეზოლიუცია შეიტანა დეპუტატთა პალატაში საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

წინადადება გადაეცა დიპლომატიურ კომისიას.

---

**ფართე მოსახლეობის კოოპერატიულად გაერთიანება ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროს არის ყველაფერი რაც ჩვენ გვინდა.**

**ლენინი.**

---

## ევროპა საფრანგეთის იარაღების საწყობია.

„დეილი გერალდმა“ გამოაქვეყნა საუბარი ცნობილ სპეციალისტთან საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში—მორელთან, რომელმაც განაცხადა, რომ საფრანგეთის ფინანსიური ინტერესები ხდიან ევროპას ვეებერთელა არსენალად.

საომარი მასალების დამზადება მეტად გაიზარდა. საომარ მასალის დამზადებელ მთავარ ცენტრს წარმოადგენს სკოდის ქარხნები (ჩეხო-სლოვაკიაში) და ავსტრიის სახელმწიფო ქარხნები.

სკოდის ქარხნები ფრანგების ხელმძღვანელობით ამზადებენ უამრავ საომარ მასალას და აგზავნიან საზღვარ გარედ. ჩეხო-სლოვაკიის მთელი სამხედრო მექანიზმი იმყოფება საფრანგეთის კონტროლს ქვეშ.

უკანასკნელ 15 თვის განმავლობაში სამხრეთ სლავიას მიეცა ერთი მილიონი თოფი და სხვა დიდძალი იარაღები, ამათ რიცხვში საველე ზარბაზნებიც.

რუმინეთმა დაუკვეთა ავსტრიის ქარხნებს დიდძალი ყუმბარები, თოფები და მინამფრქვევები,

პოლონეთმა მიიღო 34 ვაგონი ქვეითა ჯარის საჭურველი, 35 მილიონი ყუმბარა და მრავალი სხვა სამხედრო მასალა.

მთელი ეს წარმოება და მასალების შესყიდვა სწარმოებს საფრანგეთის კაპიტალის დახმარებით.

## იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება.

ჩინეთში შესდგა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება. საზოგადოების მიზანია აიძულონ სახელმწიფოები—შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა ჩინეთში და გააბათილონ ის ხელშეკრულებები, რომლებიც არღვევენ ჩინეთის უფლებებს.

## ჩინეთის პრემიერის გადადგომა.

მოხუცების გამო გადადგა ჩინეთის პრემიერი სუნ-პაუ-ჩი. მის ადგილზე კანდიდატებად ასახელებენ ველინგტონ-კუსა და ადმირალ გუიუ-ლინს.

---

## ინგლის-საბჭოთა კონფერენციის გარშემო.

### ჩვენი დელეგაციის მოლაპარაკება ძველ მესაკუთრეებთან.

ამ უკანასკნელ დღეებში ინგლისის პრესაში მოთავსებული ცნობები ჩვენს დელეგაციასა და ძველ მესაკუთრეებს შორის მოლაპარაკების შესახებ, იძლევა შემდეგ საერთო სურათს; ძველ მესაკუთრეთა კომიტეტმა აღუთქვა საბჭოთა დელეგაციას, რომ ის განიხილავდა საბჭოთა დელეგაციის წინადადებებს, რომლებიც შეტანილ იქნებოდა საბჭოთა დელეგაციის მიერ; მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადებები შეტანილ იქნა მეორე თათბირზე, არც მაშინ და არც მესამე თათბირზე ასეთები არ იქნა განხილული. კომიტეტმა განაცხადა, რომ წინადადებები მიუღებელია და მათ შესახებ არ შეიძლება მოხსენდეს მესაკუთრეთა საერთო კრებასო.

„ვესტმინსტერ გაზეტ“—ი ამბობს რომ საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რათა საერთო ჯამი საბჭოთა ვალისა არ აღემატებოდეს იმ პრეტენზიების 158 პროც.-ს რომლებიც აღნუსხული არიან სავაჭრო სამინისტროს მიერ. გაზეთის აზრით დელეგაციას შეეძლო განეცხადებია პრეტენზიების 25 პროც., მაგრამ იმ პირობით, რომ ის პირები, რომლებმაც შეიძინეს რუსეთის ქაღალდები 1918 წლის შემდეგ, ვერ მიიღებენ ვალებს.

„ობსერვერ“-ი აღნიშნავს, რომ მესაკუთრეებს დარჩენიათ საკითხის გადასაჭრელად მხოლოდ რამოდენიმე დღე.

მემარცხენე პრესა აღნიშნავს, რომ ის ჩიხი, რომელსაც მიადგა მოლაპარაკების საქმე მესაკუთრეებთან, ხელს უშლიან კონფერენციის შემდეგ მსვლელობას.

მემარჯვენე პრესა ამ საკითხის შესახებ სდუმს.

„ობსერვერის“ კვირის ნომერში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების შეწყვეტა რუსეთის ძველი ვალების საკითხის გამო, საღად მოაზროვნე ადამიანების შეხედულებით, დიდი სისულელე იქნებოდა.

„დეილ-გერალდი“ უკანასკნელ ნომერში აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ წუწუნი ნაადრევი და დაუშვებელია. ძველ მესაკუთრეებს შეუძლიათ აწარმოონ თავიანთი საქმე, მაგრამ არ შეუძლიათ პოლიტიკა უკარნახონ ბრიტანეთის მთავრობას.

ძველი ვალების საკითხიდან გამოყოფილ უნდა იქნას კერძო მესაკუთრეთა საკითხი. იმათ შეუძლიათ ეცადონ თავიანთ პირობების გასაუმჯობესებლად კონფერენციის შემდეგ.

მთავრობისა და მუშათა პარტიის აზრი ამ საკითხის შესახებ ერთმანეთს უთანხმდება.

ორივე ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვენ, რათა ისინი არ შეიქმნენ მსხვერპლი მესაკუთრეთა გაუმაძღრობისა.

როგორც ფიქრობენ, კომისიები ჩქარა დაამთავრებენ თავის მუშაობას და გააკეთებენ მოხსენებებს კონფერენციის პლენუმზე მომავალ კვირაში.

---

**ცივილიზაციური კოოპერატორების წესწყობილება, საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების დროს—არის სოციალიზმის წესწყობილება.**

**ლენინი.**

---

## საუბარი ამხ. რაკოვსკისთან.

„ვესტმინსტერ გაზეტ“-ის კორესპონდენტთან საუბარში ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ მიუხედავად საკითხის შეფერხებისა ვალების შესახებ, ინგლის-საბჭოთა კონფერენცია ჩემის აზრით, არ ჩაიშლებაო. ამხ. რაკოვსკის სიტყვით ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია ხელს არ უშლის სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას; რაც შეეხება ს. ს. რკ-ს სახელმწიფო ბიუჯეტს, ის გაწონასწორებულ იქნება წლის ბოლოს.

### საქმე წინ მიდის.

ინგლის-საბჭოთა კონფერენციის მოლაპარაკების შემმუშავებელ კომისიას უკვე ჰქონდა თათბირი საგარეო საქმეთა სამინისტროში. როგორც იუწყებიან, კომისიის მუშაობა საგრძნობლად მიდის წინ, კერძოდ — სავაჭრო ხელშეკრულების ტექსტის შემუშავების საკითხში.

### ელჩის დანიშვნის გარშემო.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობის თანახმად ო-გრედი დანიშნულია ტასგანიის გენერალ გუბერნატორად, რის გამოც ქარწყლდება ხმები მისი მოსკოვში ელჩად დანიშვნის შესახებ.

როგორც სჩანს, ინგლისის მთავრობა არ სცდილობს ძველებურად ტრედ-იუნიონთა მოღვაწის დანიშვნას მოსკოვში.

უფრო სარწმუნოა, რომ ელჩად დანიშნულ იქნება ვინმე მუშათა პარტიის წევრი, ან ლიბერალი.

**ძირს კერძო ვაჭრობა-ყველამ კოოპერატიულ მწკრივებში.**

**კოოპერაცია ორგანიზაციული თვით მოქმედებაა მომხმარებელის.**

## ექსპერტთა კომისიის გეგმა და გერმანია

გერმანიის მთავრობა უარყოფს ზოგიერთ ფრანგულ გაზეთების აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს გერმანიის მთავრობა არ სცდილობდეს ექსპერტთა კომისიის მოხსენების გატარებას ცხოვრებაში. ამაზედ გერმანიის მთავრობა აცხადდებს, რომ ჯერ კიდევ მაისის პირველ რიცხვებში მიეცდო წარმომადგენლებს მოკავშირე მთავრობებთან—რათა მიექციათ უკანასკნელთა ყურადღება მუშაობის დაჩქარებით დაწყებისათვის. სათანადო კანონ—პროექტი შემუშავებულ იქნა გერმანიის მთავრობის მიერ ჯერ კიდევ რეიხსტაგის სესიის გახსნამდი.

## გერმანიის მრეწველები ექსპერტთა გეგმის შესახებ.

გერმანიის მრეწველთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა აზრი გამოსთქვა ექსპერტთა მოხსენების მიღების სასარგებლოდ. ამას გარდა გერმანიის მრეწველებმა განაცხადეს, რომ სერიოზული ეკონომიური კრიზისი, რომელსაც განიცდის ამ ქამად გერმანია, ხელს შეუშლის ექსპერტთა მოხსენების ცხოვრებაში გატარებას და უკანასკნელის ასრულებამდი საჭიროა აღდგენილ იქნას ეკონომიური და ადმინისტრატიული ავტორიტეტი საოკუპაციო ოლქებში.

## სამხედრო კონტროლი.

პარიზის ოფიციალური წრეები აცხადებენ, რომ გერმანიის უკანასკნელი ნოტის წინადადებს სამხედრო კონტროლის შესახებ 30 სექტემბრის შემდეგ არ შეიძლება მიღებულ იქნას მხედველობაში, მაგრამ საერთოდ სამხედრო კონტროლი რამდენადაც შეიძლება ადრე იქნება მოხსნილი.

## იუზს კიდევ იმედი აქვს.

სახელმწიფო დეპარტამენტი უარყოფს ოფიციალურ ხმებს იმის შესახებ, რომ ერიოა იგვიანებს სსრკ-ს ცნობას ამერიკის პოზიციის გავლენით. იუზი ამბობს, რომ დეპარტამენტი არავითარ გავლენას არ ახდენდა საფრანგეთზე რუსეთის საკითხში. მაგრამ, როგორც ცნობებიდან სჩანს, საფრანგეთის ელჩმა ვაშინგტონიდან ცნობა გააგზავნა პარიზში, რომ იუზის აზრით, სსრკ-ს ცნობა შეცდომა იქნება, ვინაიდან ,,მოსალოდნელია საბჭოთა კავშირში რეჟიმის შეცვლა‘‘—ო.

**არ დასთესავ კოოპერაციას—ვერ მოიმკი კომუნისტურ ჭირნახულს.**

## სსრკ. არ საჭიროებს ცნობას.

„ახალ საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის საზოგადოება“ თავის ჟურნალში შემდეგ საკითხს სვამს: ,,უწევენ თუ არა მემარცხენე პარტიები თავის-თავს ანგარიშს საკითხის ნამდვილ მდგომარეობაზე სსრკ-ს ცნობის საქმეში. საბჭოთა მთავრობას ამბობს ჟურნალი-აწი არც კი სჭირდება ცნობა საფრანგეთის მიერ. დღეს უკვე არ უნდა ისმებოდეს საკითხი ცნობების შეკრების შესახებ, არამედ რაც შეიძლება ადრე უნდა იქნას მოძებნილი ნიადაგი სადაო საკითხების გადასაჭრელად, რასაც მოითხოვს ორივე ქვეყნის ინტერესები.

## გერმანია

### ლოკაუტი გრძელდება.

სილეზიის თუჯის ჩამომსხმელ ქარხნების ადმინისტრაციამ ამცნო მუშებს, რომ ის იძულებულია დახუროს დაწესებულებები.

ასეთი შემთხვევები ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა გერმანიაში.

### კომუნისტების დაპატიმრება.

ნიუკლენბერგის მთავარ სადგურზე დააპატიმრეს ბერლინის ქალაქის თვითმართველობის წევრი, კომუნისტი კესტელი.

### გერმანიის მიწვევის პირობები ლონდონის კონფერენციაზე.

როგორც პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, გერმანიის წარმომადგენლები მიწვეულ იქნებიან ლონდონის კონფერენციაზე იმის შემდეგ, როგორც კი ანტანტის წარმომადგენლები შეთანხმდებიან მთავარ საკითხებში.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

1 ივლისიდან ჩვენი გაზეთი **„წითელი არმიელი“** ეღირება №--3 კაპ., თვიურად 70 კაპ.

წითელ-არმიელთათვის ნაწილში ან სოფელში მიწოდებით 50 კაპ.

**გაზეთ „წითელ-არმიელის“ კანტორა.**

**კოოპერაცია სკოლაა კოლექტიური მეურნეობითი მუშაობის.**

## სავაჭრო ხელშეკრულობა სპარსეთთან.

3 ივლისს სპარსეთში ხელი მოაწერეს სავაჭრო-ხელშეკრულებას-საბჭოთა კავშირის მხრივ სრულუფლებიანმა და სავაჭრო წარმომადგენელმა ამხ. შუმიაცკიმ, სპარსეთის მხრივ—საგარეო საქმეთა მინისტრმა, ზაკადულ მულკმა.

ხელშეკრულება დადებულ იქნა ორივე ქვეყნის თანასწორ უფლებიანობის საფუძვლებზე.

**კოოპერაცია ხიდია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შორის**

## ცდები აჯანყებისთვის

### სპარსეთის პრინცის თვითმკვლელობა.

სპარსეთის სამხრეთ დასავლეთ დივიზიის შტაბის უფროსმა პრინც მამედ-მირზამ შეეცადა ბირჯანში აჯანყების მოწყობას ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობის ერთგული ჯარების მიერ ჩაქრობილ იქნა აჯანყება. შეთქმულები შეიპყრეს. დაჭერის დროს პრინცმა თავი მოიკლა.

როგორც გადმოგვცემენ, ბირჯანში გამგზავრების წინ პრინცმა ინახულა ინგლისის საკონსულოში ბრიტანეთის სამხედრო ატაშე ტომსონი.

## ნათესაების მდგომარეობა.

### მოსავლის პირი ციმბირში.

ნიკოლაევსკი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ციმბირში ამხ. კაშნიკოვმა განაცხადა, რომ ნათესების მდგომარეობა ციმბირში შეიძლება დამაკმაყოფილებლათ იქნეს ცნობილი.

### მოსავლის შეგროვება.

ბერდიანსკი. დაიწყო მოსავლის შეგროვება. გვალვამ დააზარალა პურის ნათესების 75 პროც. ქერის 50 პროც., მზეს-უმზირა და სიმინდი დამაკმაყოფილებელია.

### დახმარება მოუსავლობით დაზარალებულ რაიონებს.

დონის როსტოვი, ძველი მოსავლიდან დარჩენილი პურის რაოდენობა სამხრეთ აღმოსავლეთში შეადგენს 85 მილ. ფუთს, რომელთაგან 11 მილ. ფუთი გადადებულია მოუსავლობით დაზარალებულ რაიონების დასახმარებლად.

## ამხ. ლიტვინოვი გერმანიაში.

პირველ ივლისს ამხ. ლიტვინოვი მიიღო შტრეზემანმა. საუბარი საათნახევარი გაგრძელდა. საუბარის დროს შეეხენ აგრეთვე სავაჭრო წარმომადგენლობის გარშემო მომხდარ კონფლიქტსაც.

## როგორ უნდა მოვეპყრათ ჯარში ახლად გაწვეულს.

(უფშემადგენლობის საყურადღებოთ)

ჩვენი წითელი ჯარი ეხლა შევსებულია ახლად გაწვეულებით. ამიტომ ჩვენ ზედმეტათ არ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით შევეხოთ მათ ყოფა ცხოვრებას.

ყველა ჩვენთაგანი ყოფილა ჯარში.

საკუთრათ გადაგვიტანია მთელი რიგი განცდათა, რომელნიც უეჭველად თანსდევს ჯარში ახლად გასვლას.

პირველად ყოვლისა მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის, რომ ჯარში იწვევენ 20 წლის ახალგაზრდას. დიდი უმეტესობა ჯარში გაწვეულთა არის სოფლის გლეხობა. მათ არ შეხვედრიათ, არამც თუ საერთო ბინაში ცხოვრება, არამედ რომელიმე საზოგადოებაში დიდი ხნით ყოფნაც კი.

ჯარის ნაწილი კი საზოგადოებრივ ცხოვრების ერთი ნიმუშთაგანია.

ყოველივე ოჯახს თავის ზნე და ჩვეულება აქვს. თვითეული ოჯახი თავის გემოზე ზრდის თავის შვილს. აი ეს სხვა და სხვა ოჯახში 'აზრდილი ხალხი, სხვა და სხვა ზნეჩვეულებისა და ადათის მატარებელი, პირველად საზოგადოებრივ ჯგუფურ ცხოვრებას შეხვდება წითელ ყაზარმაში. თავისთავად ცხადია დიდი უმეტესობა დაიბნევა; ვერ მონახავს ადგილს. ამას ემატება ის ცოტაოდენი დარდიც, რომელიც უეჭველია თვითეულ წ. არმიელს აქვს ოჯახიდან მოწყვეტის გამო. მართალია ეს დარდი არც ერთი ჩვენთაგანის გულში არ უნდა იყვეს, მაგრამ ჯერ ჩვენ კიდევ სავსებით არა გვაქვს შეგნებული ჩვენი დიადი მოვალეობის შესრულების მნიშვნელობა. მოწმენი ვართ სულ ახლოხან წარსული დროის, როდესაც თვითეული ჩვენთაგანი ტირილით და ვაივაგლახით ხვდებოდა ჯარში გაწვევას. მე მოგახსენებთ ნიკოლოზ მე-2 დროზე. ამიტომ გასაკვირი არაა ჯერ-ჯერობით ჩვენში იყოს ერთნაირი უსიამოვნების ნაშთი.

გარდა ამისა საერთო მდგომარეობას ემატება ისიც, რომ ჯარში გაწვევის შემდეგ თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულია დაექვემდებაროს ერთნაირ წესს—დისციპლინას.

ყოველივე ეს ერთნაირად ეხამუშება ჯარში ახლად გაწვეულს.

ჩვენც ასეთ მდგომარეობაში ვიყავით პირველი გაწვევის დროს. მხოლოდ ჩვენი უბედურება იმაში იყო, რომ მაშინ ჩვენს გუნებას და კეიფს ყურადღებას არავინ აქცევდა. დედისა და მამის გინებით გვიმასპინძლდებოდენ. თუ ხმას ამოიღებდი ჯურღმულში ჩაგვსვამდენ.

დღეს კი ჩვენში ასე არ არის.

ჩვენს სახელმწიფოში კომუნისტური წითელი დროშა ფრიალებს. იგი ხელთ უპყრია მუშის დაკოჟრებულ ხელს და ამავე ხელმა წითელი ლამპარით გააშუქა ჩვენი ყაზარმები.

წითელი არმიელი არ არის ყურმოჭრილი მონა და პირუტყვი, როგორც ეს წინეთ იყო. ჩვენი მთავრობა აუარებელ ხარჯს ეწევა მათი გათვითცნობიერება-განსწავლისთვის. ყოველივე ამას ჩავდივართ იმიტომ, რომ წითელი არმიელი იყოს შეგნებული დამცველი თავის ე. ი. მუშურ-გლეხური ინტერესების ჯარში ყოფნის დროს და ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ კი შეგნებული მოქალაქე.

ამას თვითეული წითელ-არმიელი საკუთრათ შეიგნებს და შეითვისებს ცოტა დროის დაყოფის შემდეგ წითელ ყაზარმაში.

მაგრამ საქმე ის არის, რომ პირველი დღეები მისთვის მაინც ძნელია.

ძნელია გასაგებ მიზეზების გამო.

„უცხო და უცხო სოფელსა კაცი ნიადაგ ერთია, თუ კაცმა კაცი ვერ იცნო სიკვდილი რადა მეტია“-ო ამბობს ჩვენი ხალხის ბრძნული თქმულება.

დიახ! უცხოა წითელ-არმიელია და ერთია ამიტომ.

და რომ მან ეს განმარტოება არ იგრძნოს, რომ არ განიცადოს გულისა და სულის წუხილი, საჭიროა მათთან საუბრების წარმოება როგორც უფშემადგენლობის ისე პოლიტიკური ხელმძღვანელების მიერ.

მჭიდრო ამხანაგური კავშირი უფროს შემადგენლობასა და წითელ-არმიელთა შორის-არის ერთარ-ერთი საწინდარი ნამდვილი შეგნებული, ცოცხალი შეიარაღებული ძალის შექმნისა.

უფროსთა შემადგენლობამ უნდა ყოველივე წუთი ეძებონ თვითეული არმიელის სულიერი მდგომარეობის გასაგებად და შესათვისებლად.

ამ გზით შეგვიძლია ჩვენ შევაყვაროთ ჩვენს სოფლის გლეხს წითელი ყაზარმა, გავხადოთ იგი რევოლიუციის ჭეშმარიტ დარაჯათ.

ეს ვაალდებულება უფროსთა შემადგენლობის, როგორც ზნეობრივად ისე იურიდიულად.

წითელი არმიელი რომელმაც საუცხოვო სროლა იცის, ძვალში და რბილში გამჯდარი არ აქვს თავის დიადი მოვალეობაა—არ არის ღირსეული არმიელი. იგი პანიკის შემქმნელია ჯარში. ის ზედმეტი ბარგია.

მაშ ამ თავიდანვე ვეცადოთ მეტი შეგნება და სიყვარული საქმისადმი შევიტანოთ ჩვენს წითელ-არმიელებში.

ეს არის ჩვენი პირდაპირი მოვალეობა.

ამას მოითხოვს ჩვენგან მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

**პ. ბ—ძე.**

ჩვენ წითელ ჯარში

## ქართულ მეთაურთა სკოლა.

(უმწყობრო ასეული).

ხსენებული სკოლის უმწყობრო გუნდი დატოვებული იქნა თბილისში.

მართალია დიდი მანძილით ვართ დაცილებული ჩვენს სკოლას, მაგრამ კავშირი ჩვენსა და მათ შორის გაუწყვეტელია.

თითქმის ყოველ კვირაობით ჩამოდიან ბანაკიდან ჩვენი სკოლის კურსანტები და გვიმართავენ საუბრებს, რაც დიდ სიამოვნებას იწვევს ახალწვეულებში.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს სკოლის სამნეო ნაწილის უფროსის ამხ. თურქიას მოღვაწეობა.

ის ყოველ ათ დღეში ჩამოდის ჩვენთან ბანაკიდან და არ გვაკლებს მამაშვილურ მზრუნველობას. მას წ. არმიელების გათვითცნობიერების საქმეშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის. თითქმის ყოველთვის მართავს ჩვენთან საუბარს და გვიხსნის ჩვენთვის გაუგებარ და საჭირბოროტო საკითხებს.

მან დიდი პატივისცემა დაიმსახურა ჩვენში თავისი საქციელით.

გულწრფელად ვისურვებთ მეტი ყოფილიყვეს ჩვენს ჯარში ასეთი უფროსები.

პ. ბ—რია.

## მე 3-მე ტერ-ლეგიონი საერთო ფერხულში.

ჩამოსვლისთანავე მე 3-მე ლეგიონში გაცხოველდა მუშაობა. სამხკომი ამხ. კობიძე (გ. ციმბირელი) და ლეგიონის თავი ამხ. აბესაძე-ხელი ხელ ჩაკიდებული შეუდგენ ამ ახალი საქმის ხელმძღვანელობას. სხვა მეთაურებიც თავის სიმაღლეზე სდგანან.

ყველანი დაინტერესებულნი არიან თავ-თავიანთ საქმით. ამ დღეებში დამთავრდება კლუბის მოწყობა და ყაზარმების შეკეთება, რომელსაც მოუსვენრად თავს დასტრიალებს ამხ. კობიძე და ხერხეულიძე.

დიდ დახმარებას გვიწევს ამ საქმეში გორის ალმასკომი და ყველა ორგანოები. მცხოვრებლებიც დიდი თანაგრძნობით გვხვდება.

26 ივნისს შესდგა უფპოლიტშემადგენლობის საერთო კრება, სადაც ტერ ნაწილების მნიშვნელობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. კობიძე, გააცნო კრებას მისი პრინციპიალური და პრაკტიკული მხარეები.

გაირჩა სხვა და სხვა საკითხებიც მომავალ მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც გამოტანილი იქნა დადგენილება რაც შეიძლება მეტი ენერგიით შეუდგენ წითელი მოლაშქრეების მომზადების საქმეს პოლიტიკურად, კულტურულად და სამხ. ტეხნიკურად. 1-ლი ათასეული უკვე მაცადინეობს ამხ. ნაფეტვარიძის და პოლიტ-ხელის ამხ. კოკაიას ხელმძღვანელობით.

სამხკორი: **ოზურგელი.**

**საერთაშორისო კოოპერატიული დღე არის დღესასწაული კოოპერატიულად გაერთიანებული მომხმარებლისა.**

## მესანგრეებში.

ლამაზათაა გადაჭიმული ჩვენი ასეულის კარვები ბანაკში. ნაციონალური ნაწილების მხიარულება უხვად ეფინება ბანაკის მიდამოებს.

ორშაბათია. შავი ღრუბლებით მოკუპრული ცა ვერ აშინებს წითელ მესანგრეებს.

ჩვეულებრივად მიმდინარეობს მეცადინეობა.

მოულოდნელად გაისმის მაშხალის ხმა შშშშ....ბუჰ...

და გაჩათდა მთელი ბანაკი. ახმაურდენ აქვე მოთავსებული, რუსების, თათრების და სომხების ნაციონალური ნაწილები.

ჩვენ ნაწილთან ერთად ყველა მწკრივდება რიგში. ახმაურდა სამხედრო ორკესტრი.

გაისმის სალამოს ჟამი და ყველაფერი ესენი ფარავს მაშხალების ხმაურს.

დიდ განცვიფრებას იწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში მაშხალები.

განსაკუთრებით საზღვარი არა აქვს ბავშვების სიხარულს.

ჩამწკრივებულ ინტერნაციონალურ ჯარს ათვალიერებს ინჟინერების უფროსი.

ეტყობა დიდი კმაყოფილი დარჩა ნაწილებით. გათავდა დათვალიერება. ნაწილები იშლებიან ინტერნაციონალის სიმღერით.

ალაგ-ალაგ შეჯგუფდენ არმიელები და გაჩაღდა სიმღერა-ცეკვა თამაში, რომელიც დაარღვია მოულოდნელად მოსულმა წვიმამ.

**ბიჭიაშვილი.**

**იყიდეთ და გაყიდეთ მხოლოდ თავის კოოპერატივებში. არც ერთი კაპეიკი კერძო ვაჭარს.**

## უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელების წერილებიდან.

მეხუთე ლეგიონში (ყოფილი მესამე) აუარება წერილები მოდის უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელებიდან. მრავალ მხრივ არის საყურადღებო ეს წერილები.

აქ აშკარად სჩანს, თუ როგორი მდგომარეობაა სოფლად და როგორ ასრულებენ არმიელები საბჭოთა ხელისუფლების დავალებას.

მოგვყავს ამ წერილებიდან ერთი:

„მიერთვას მესამე ლეგიონის პოლიტხელს გიორგი ქალიაშვილს. ვისურვებ თქვენს დიდი ხნის სიცოცხლეს.

ეხლა უნდა მოგახსენოთ, ამხანაგო პოლიტ-ხელო, რომ მე სოფელში დაბრუნებისთანავე შეუდექი თქვენი დავალებების სისრულეში მოყვანას. ერთობ ძნელია აქ მუშაობის წარმოება. სოფლის საბჭოში მოკალათებულია ადგილობრივი „კულაკები“ და უღარიბესი გლეხობის ინტერესებს აქ არავინ იცავდა.

მთელი ყურადღება აქეთკენ მივმართე. მოვიწვიე კრება, გამოვააშკარავეთ საბჭოს მოქმედება, შეუდგინეთ ოქმი და გადავეცით რაიონულ ალმასკომს.

რამოდენიმე დღის შემდეგ გადაყენებულ იქნენ საბჭოს ყველა წევრები.

ადგილობრივი უღარიბესი გლეხების თანხმობით გავაუქმეთ ეკლესია, დავაარსეთ სამკითხველოები და სხვა კულტურული დაწესებულებები.

სოფლის კულაკებს ჩაუკმიდეთ ხმა.

ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. იმედი მაქვს წითელ ყაზარმაში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას სათანადოდ გამოვიყენებ. ადგილობრივი უღარიბესი გლეხები დიდ დახმარებას მიწევენ ამ საქმეში.

მომწერე ამხ. პოლიტხელო წერილები და დარიგება თუ როგორ მოვიქცე.

სალამი ყველას.

ყოფილი წ. ა. დათა გიგაური.

## რაზედ გვწერენ

### ზოგიერთები უნდა გამოსწორდნენ.

პირველ ლეგიონის უფროსთა შემადგენლობაში ბევრი სამაგალითო უფროსებია, მაგრამ ბევრი ისეთები მოიპოებიან, რომლებმაც აუცილებლად უნდა გამოასწორონ თავიანთი საქციელი. ბევრი ისეთი ამხანაგებია ჩვენთან, რომლებიც სათავეში დგანან და თავის ხელქვეითებს არაფრად აგდებენ.

ეს შეუძლებელია. წითელი ჯარი ვერ ითმენს ასეთ საქციელს, მისთვის მიუღებელია უფროსების გულგრილობა.

მე მიუთითებდი ზოგიერთ ამხანაგებს, (რომელთა გვარები მე არ მინდა აქ დავასახელო) რომ აიღონ მაგალითი ლეგიონის თავის თანაშემწე ამხ. შავდიასა და სამხკომ ბახიასაგან, რომლებიც თავდაუზოგველათ მუშაობენ ლეგიონის აყვავებისათვის და რომლებმაც თავისი კარგი მოპყრობით დაიმსახურეს წითელ არმიელების საერთო ყურადღება.

მეთვალყურე.

## მცირე შენიშვნა დიდ საკითხზე.

ჩვენს წითელ ჯარში დიდი ყურადღება ექცევა საერთო საკლუბო მუშაობას.

ეს აუცილებელია ჩვენს რიგებში მყოფ მუშების და გლეხების გასათვითცნობიერებლათ, წითელი ჯარი წარმოუდგენელია პოლიტიკურ ცოდნის გარეშე. ამას ხელს უწყობს საკლუბო მუშაობა და კერძოთ კი ბიბლიოთეკა-სამკითხველოები. აქ, მინდა ამ უკანასკნელზე შევჩერდე და აღვნიშნო ის დამაბრკოლებელი მიზეზები რომლებიც ხელს უშლიან მის წესიერ მუშაობას.

საბიბლიოთეკო მუშაობა, თუ ზერელეთ არ შევხედავთ მას და მთელის პასუხისმგებლობით მოვკიდებთ ხელს, რთულია... ბიბლიოთეკა—ეს მთელი ნაწილის ცენტრალური კულტურული ნასკვია. აქ იყრიან თავს ყველა ისინი, ვინც ცოდნას ეწაფება—დაწყებული ახლათ-მოსულ წითელ არმიელიდან და გათავებული უფ და პოლიტშემადგენლობით.

განსაკუთრებითი ყურადღება ბიბლიოთეკის მიერ ახლად მოსულ წითელ არმიელს ექცევა, რომ იგი როგორმე ჩააბას მუშაობაში, მსურველს ყოველგვარი ბუნდოვანი საკითხები და ამ მიზნით, სახალისო წიგნების შერჩევასთან ერთად მართავს ხმა მაღალ კითხვებს... ეს უსათუოთ მნიშვნელოვანია... მაგრამ, ყოველგვარ მუშაობის შესრულების სათანადო სამუშაო იარაღი სჭირდება...

ბიბლიოთეკის განუშორებელი იარაღი კი სათანადო წიგნია... წიგნი გასაგები და მისაწვდომი ფართო წრისათვის, როგორც შინაარსით, ფორმით, ისე უმთავრესათ ენითაც...

სამწუხაროთ, ჩვენი ჯარის არც ერთი ბიბლიოთეკა—ამ მხრივ დაკმაყოფილებული არაა,.. ჩვენ მოგვდის მრავალი სხვა და სხვა შინაარსის წიგნები მოსკოვიდან.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ მივიღეთ იშვიათ გამოცემა „ქოხ-სამკითხველოს“-ი, ხმამაღალ კითხვებისათვის—მაგრამ ეს უმდიდრესი და უმშვენიერესი მასალა—ჩვენთვის გამოუსადეგია. ჩვენი ბიბლიოთეკის თაროებზე ასეთ მდგომარეობაში თქვენ ნახავთ არა ერთ ათეულ წიგნებს, ეს მაშინ, როცა ამავე ხასიათის წიგნები ქართულ ენაზე ძლიერ გვესაჭიროება.

საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს და თუ გვინდა ვაწარმოოთ სათანადო ნაყოფიერი მუშაობა მოგვაწოდეთ წიგნები გასაგები ენით და შინაარსით ქართულ ენაზე. ჩვენი ლიტერატურა, მართალია არ არის მდიდარი ჩვენთვის გამოსადეგ მასალით, მაგრამ ამის დაძლევა არ არის ძნელი—მით უფრო, რომ დღეს თითქმის ყოველ სოფელში იხსნება ე. წ. ქოხ სამკითხველოები.

ისიც ალბათ ამ მხრივ—მსგავს მდგომარეობაში იქნებიან და თუ პოლიტ-განათლება სათანადო ხარჯს გაიღებს — ამით დააკმაყოფილებს ერთსაც და მეორესაც.

ჯერ-ჯერობით კი საჭიროა იმ წიგნების მიწოდება მაინც—რაც ჩვენს ბაზარზე უკვე გამოსულია.

ეს ერთი მთავარი პირობათაგანია ჩვენი მუშაობის ღირსეულათ წარმოებისა წითელ არმიელებში.

**გრიან.**

**არასოდეს არ იყიდოთ კერძოთ ის, რაც შეიძლება იყიდო კოოპერატივში.**

## ქართული ლაშქრის კოოპერატივის „ევკოგრუზის“ 1924 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

(დასასრული)

ა. წ. 1 იანვრიდან 1 ივნისამდე კოოპერატივის საქონელის ბრუნვა შემდეგია.

1. შეძენილია საქონელი 1 იანვრის ნაშთის დამატებით.

ა) თბილისის სავაჭროებისათვის 337.067 მ. 78 კ. ბ) ბათუმის 15.718 მ. 40 კ. ვ) ქუთაისის 144 279 მ. 76 კ. გ) მიღებულია საკუთარი წარმოებიდან 35.788მ.32კ.

ს უ ლ. 532.854 მ. 26 კ.

მათ შორის 6 %-დე შეძენილია კერძო ბაზარზედ, დანარჩენი 94% კი სახელმწიფო დაწესებულებებიდან კოოპერატივებიდან და საკუთარი წარმოებიდან. საქონლის საშუალო შემოსავალი 1/1 — 1/6 უდრის 74.446 მ. 59 კ. რაც გაიზარდა შარშანდელზედ შედარებით ორჯერ.

2. კოოპერატივის სავაჭროებიდან გაყიდულია 11/—1/6:

ა) წევრებზედ ნაღ.—55.028.11$^{1}/_{4}$ ნის. 63.448.32$^{1}/_{2}$ სულ. 118.476-43 სამი მეოთხედი 39,39% ბ) პროფკავშირის წევრებზედ და სახელმწიფო დაწესებულებებზედ 29,600-76 9,84 პროც. გ) კერძო მოქალაქეებზედ 152.667-36$^{1}/_{2}$ 50,77 პროც.

სულ 300.744-56ერთი მეოთ6.100%

საშუალო ვაჭრობა თვეში უდრის 60.148 მ. 91 კ. რაც გაიზარდა შარშანდელზედ შედარებით 4,5-ჯერ, საქონელი დაფასებულია ორ ნაირად: წევრებისათვის ფას დაკლებით 5—10%-დე და არა წევრებისათვის მეტ ფასებში. რაც კერძო ბაზარზედ შედარებით უმეტეს შემთხვევაში ნაკლებია. საქონელს უმეტეს შემთხვევაში ვღებულობთ ცეკავშირიდან, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ევკოგრუზს, რაც გამოიხატება პერმანენტული კრედიტის გახსნით და სხვა დახმარებით.

ხე ტყის ქარხანას შეადგენს 25 ცხ. ძალის ორთქლის მანქანა 5 რგვალი ხერხი (52“, 36,“ 24“, 22“ და 18“), 1 ბირდა-ბირი ხერხი და 1 სიგრძით გასახერხი დაზგა. ერთი დღის 8 საათის მუშაობით ქარხანა იძლევა 600 კვ. გოჯა ხე-ტყის დახერხილ მასალას. ა. წ. 1 იანვრ. 1 ივნისამდე მიღებულია ქარხნის წარმოებიდან 52.951,20 კვ. გოჯი მასალა, რომელიც იყიდება უფრო დაკლებულ ფასებში ვიდრე კერძო ქარხნებში. ქარხანაში მუშაობს 21 მუშა მოსამსახურე.

კოოპერატივის სამეურნეო მამული იმყოფება სოფ. ბოგას-კიახანში ბორჩალოს მაზრაში. მამულში გვყავს „65“ მამულის ძროხები და „150“ გლეხებიდან დაქირავებული ძროხები, 4 კურო, 8 ხარი, 52 ხბო, 1 ცხენი, 4 კვიცი, 47 ღორი, 47 ცხვარი, და ქათმები. გარდა ამისა უკვე შეუდექით ფუტკრის და ბაჭიების მოშენებას. პირველ იანვრიდან 1 ივნისამდე მამულიდან მიღებულია: პრესში გატარებული კარაქი 14 ფ. 17 3|4 გ.; ყველი თუშური 109 ფ. 11 გ.; ყველი ჩეჩილი 17 ფ. 36 გ.; ერბო 2 ფ. 24 გ. რძე და პრესში გაუტარებელი კარაქი 5 ფ. 1 გ. მამულს აქვს სულ 1600-დე დესიატინა საძოვარი და სახნავ-სათესი ადგილი. მამულში მუშაობს 10 მუდმივი მუშა მოსამსახურე და 45-დე სეზონის დროს დროებითი,

ევკოგრუზში მუშაობს სულ 117 კაცი პროფკავშირის წევრები და გარდა ამისა მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ნაწილების მეთვალყურე. კომისიებში და დუქნებში 49 წითელ მოლაშქრეთა მეთაურები.

**ვ. ბახტაძე.**

**კერძო შუამავალი ჩვენი სახალხო მეურნეობის მუწუკია.**

# ქ. დ. სამ. რევტრიბუნალი

## საყარაულო წესდების დარღვევისათვის.

საარტილერიო დივიზიონის წით. მოლაშქრე არჩილ მჭედლიშვილი დანიშნული იყო ყარაულში ა. წ. 25 მაისს, საარტილერიო პარკის სადარაჯოზე. როდესაც ბრალდებული მიდიოდა საყარაულოდან გუშაგის გამოსაცვლელად, გზაში შეხვდა ერთ მოხალისეს, რომელსაც ხელში ეჭირა საველე ზარბაზნის 3 ამაო ვაზნა. ბრალდებულმა ორი ვაზნა გამოართვა მოხალისეს, ხოლო ერთი დაუტოვა. რამოდენიმე ხნის შემდეგ თავისი ორი ვაზნა მან ჩააბარა უფროსს და მოხალისეს კი შერჩა ერთი ვაზნა. ამით მან დაარღვია საყარაულო წესდება (ბოროტმოქმედება გათვალისწინებული ს. ს. კ. 214 1 ნაწ.). ტრიბუნალმა მას მიუსაჯა სამი თვით გამსახლში მოთავსება, წინასწარ დაპატიმრების დროს ჩათვლით.

## უღირსი წითელ არმიელი.

2 ივლისს რევტრიბუნალმა, თავმჯდომარის გოგიჩაიშვილის და კოლეგიის წევრების გაბუნიას და დემეტრაშვილის, შემადგენლობით გაარჩია აგრეთვე მეორე საქმე, 1-ლი ლეგიონის წით. არმ. პეტრე არონიშიძის.

ბრალდებული არონიშიძე ა. წ. 11 აპრილს ჩარიცხულა 1-ლ ლეგიონში მოხალისედ. ერთი თვის შემდეგ ე. ი. 12 მაისს იგი თავის ნებით გაპარულა სახლში და თან წაუღია დროებით სახმარებლათ მიცემული სახაზინო ტანისამოსი.

1902 წლის დაბადებულთა გაწვევის დროს ის გამოცხადდა ოზურგეთში, სადაც შეიპყრეს და მისცეს პასუხის გებაში.

სამხედრო ტრიბუნალმა მას მიუსაჯა დიზერტირობისათვის 8 თვით გამსახლში მოთავსება წინასწარ დაპატიმრების დროს ჩათვლით და 300 მანეთის ქონების ჩამორთმევით, სახაზინო ქონების გაფლანგვისათვის კი ექვს თვით გამსახლში მოთავსება.

უმაღლეს სასჯელის ზომათ დარჩა 8 თვე კონფისკაციის ძალაში დატოვებით და წინასწარ დაპატიმრობის დროს ჩათვლით.

**გაუმარჯოს წითელ კოოპერაციას—პირმშოს ოქტომბრის რევოლიუციისა.**

# ახალი ამბები.

**კოოპერატივის დღე წითელ ჯარში.** კვირას ქართ. დივ. ცენტრ. კლუბში მოეწყობა თფ. გარნიზონის ქართული ნაწილებისათვის კოოპერატივის დღე. წაიკითხავენ მოხსენებას და გაიმართება საოპერო წარმოდგენა.

— **ჯარიდან დაბრუნებულთა მიღება სამსახურში.** ყველა ის ადგილები, რომლებიც განთავისუფლებული არიან ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა მიერ შენახულ იქნებიან მხოლოთ დემობილიზაცია მოხდენილ მუშაკთათვის.

— **ქალაქის შემოსავალი.** ივნისის თვის განმავლობაში ქალაქის შემოსავალი უდრის 300.000 მანეთს.

— **მედიკამენტების შესაძენათ.** ქალაქის აღმასკომმა გადასცა აფთიაქების სამმართველოს 10.000 მანეთი წამლეულობის შესაძენათ.

— **იძულებითი სამუშაოს მისჯა.** მაისის და ივნისის განმავლობაში რესპუბლიკაში იძულებითი სამუშაო მიესჯა 66 კაცს. აქედან 5 ქალია.

— **შუამდგომლობა.** საპატიმრო ადგილების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა, მთავრობის წინაშე, რათა გამასწორებელ სახლების თანამშრომლები ჯამაგირებით გათანასწორებულ იქნან მილიციასთან.

— **სკოლების აგება ახალციხის მაზრაში.** ახალციხის სამაზრო აღმასკომმა მაზრაში ახალი სკოლების ასაგებათ და ძველების შესაკეთებლად გადასდო 5.000 მანეთი.

— **პატიმართა მუშაობა.** პატიმართა საშუალებით ფოთში დათესილია 2 დესეტინა მიწა, ფოთის ახლოს 10 დესეტინამდე. მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს.

— **ფუნიკულიორის მუშაობა.** 1-ლ ივლისამდე ფუნიკულიორის მოძრაობიდან შემოსულა წმინდა შემოსავალი 12.382 მანეთი. დახარჯულია 7.361 მანეთი.

— **ახალი მარშრუტი.** ამ მოკლე ხანში მუშაობას დაიწყებს სპეციალური ვაგონი ვარანცოვ-თავისუფლების მოედნებს შორის.

— **ცეცხლის მქრობელი რაზმის საჭიროებისათვის.**

თფილისის ცეცხლის მქრობელი რაზმის საჭიროებისათვის გამოწერილია სხვა და სხვა ახალი ტიპის ცეცხლის საქრობი იარაღები.

— **დეპეშების გზავნა ჰაეროპლანების მიმოფრენის შესახებ.** ფ.-ტ. სახ. კომისარიატის განკარგულებით ყოველგვარი დეპეშები აეროპლანების მიმოფრენის შესახებ მიიღება რიგს გარეშე.

— **შენობა სულით ავადმყოფთათვის.** რადგანაც ძველი შენობა სულით ავადმყოფთათვის უვარგის მდგომარეობაშია, ამიტომ გადაწყვეტილია სრულიად ახალი შენობის აშენება.

## ხელოვნება.

— **წითელ არმიელთა კლუბში.** დღეს, წით. არმიელთა კლუბში, მე-4 რაიონის ახალგ. კომკავშირი მართავს წარმოდგენას ახ. კომკავშირის კლუბის ფონდის გასაძლიერებლათ.

— **დიდი სალამო.** რაჭის მაზრის დამხმარე საზოგადოება დღეს ბაღ „არტოში" მართავს დიდ სალამოსეირნობას, რაჭის მაზრის კულტურული ფონდის გასაძლიერებლათ.

— **ლენინის ძეგლი ქუთაისში.** ხუროთ მოძღვარმა თუმანიშვილმა შეადგინა პროექტი ლენინის ძეგლისა, რომელიც დაიდგმება ქუთაისში ყოფ. საკრებულ ტაძრის მოედანზე.

**გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.**

# რქოსან საქონლის ჭირი.

(გაგრძელება).

სენის გადამდებ—გამავრცელებელ საშუალებად, გარდა თავისი თავისა, ავადმყოფი საქონელი ხდის აგრეთვე ყველა იმ საგნებს, რომლებსაც ავადმყოფობის დროს მიჰკარებია: მაგალითად, თივას, ბზეს, ქვეშ დასაგებ ჩალას, ბოსლის იატაკს, კედლებს, მინდვრებს და საბალახოებს, სადაც მას უძოვნია და სხვას.

ასეთივე გამავრცელებელია ჭირისა ამ უკანასკნელისაგან მკვდარი საქონლის ლეშიც, ტყავიც, რქებიც და ჩლიქებიც, თუ ისინი 2 ნახ. ალაბ სიღრმეზე მაინც არ არიან ჩაფლული მიწაში და მათ ძაღლები ან ფრინველები სძიძგნიან და ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, ერთი ეზოდან მეორე ეზოში ლეშის ნაწილებს მიეთრევიან. ერთი სიტყვით ჭირი შესაძლებელია გავრცელდეს ყველა იმ საგნების საშუალებით, რომლებსაც ასე თუ ისე ჭირით ავადმყოფი საქონელი სიკვდილამდის თუ სიკვდილის შემდეგ მიჰკარებია.

ზევით ჩამოთვლილ საშუალებათა გარდა, ჭირის გამავრცელებლის როლი, ხან უნებლიეთ და ხან შეუგნებლობის გამო, შეიძლება ითამაშოს თვით ადამიანმაც, როდესაც იგი ავადმყოფ საქონელს უვლის და ჭირისაგან მკვდარ საქონელს ატყავებს. ამ დროს ჭირის გამომწვევი, ჯერ კიდევ მეცნიერების მიერ აღმოუჩენელი, უაღრესად პატარა არსებანი ადამიანს ხელებზე, ტანისამოსზე, ფეხსაცმელებზე ეწებებიან, და ამის შემდეგ, თუ იგი თავის თავზე დეზინფექციის მოუხდენელად ჯანმრთელ საქონელთან მივიდა, ეჭვი არ არის, ამ უკანასკნელზე საქონლის ჭირს გადაიტანს.

თუმცა ძაღლები და ღორები თვითონ არ ხდებიან ჭირით ავად, მაგრამ მათ თუ ისინი ავადმყოფ საქონელთან ერთ ეზოში ერთ ბოსელში ცხოვრობენ, თამამად შეუძლიათ თავისი ცხვირით და ფეხებით ჭირი სხვა ადგილზედაც გადაიტანონ და იქ გაავრცელონ. ასევე, ამ გზითვე, შეუძლიათ გაავრცელონ საქონლის ჭირი ცხენებმა, თხებმა და აქლემებმაც, თუმცა, როგორც ზევით გვაქვს ნათქვამი, მათ ეს ავადმყოფობა ისე მაგრად არ ჰკიდებს, ხელს, როგორც რქოსან საქონელს. თაგვები და ვირთხებიც ავრცელებენ ჭირს, როდესაც უკანასკნელები ავადმყოფი საქონლის განავალში ისვრებიან და შემდეგ თივას, ჩალას, ბზეს და წყალს სწამლავენ.

ყველა ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ჭირით მოცულ ადგილებში შესაძლებელია ჯანსაღ საქონელს ყოველ თავის ნაბიჯზე ჭირი დაემართოს: საბალახოზე, ეზოში, წყალზე და, ერთი სიტყვით ყველგან, სადაც—კი ან ავადმყოფი საქონელი ყოფილა, ან არის, ან მისი ლეში, თუ უკანასკნელის ნაწილები გდებულა, და აგდია.

როგორც ერთი ნაპერწკალი შეიძლება დიდ ცეცხლად გადაიქცეს, რომელსაც შეუძლია მთელი სოფელი გაანადგუროს, ისე ერთი ავადმყოფი პირუტყვის საშუალებით შეიძლება ჭირი მთელი სოფლის საქონელს დაემართოს და დროზე თუ ზომები არ იქნა მიღებული, მთელ მხარესაც მოედოს. რომ ასეთ მოვლენას ჩვენს სოფელში ადგილი არ ექნეს და ჭირი არსაიდან შემოგვეპაროს, ამიტომ საჭიროა ჭირთან ბრძოლის საქმეში ვიხელმძღვანელოთ შემდეგი თავდაცვის ზომებით:

1. არ უნდა წავიდეთ არც მარტო და არც საქონლით იმ სოფლებში და განსაკუთრებით არ უნდა შევიდეთ და გავჩერდეთ იმ ეზოებში, სადაც ჭირია საქონელზე.

2. არ უნდა წამოვიყვანოთ ამ სოფლებიდან არც პირუტყვები და არც უნდა მოვიტანოთ იქედან ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა მაგალითად; ხორცი, ქონი, ერბო, ყველი, მატყლი, ტყავი და საზოგადოთ ისეთი საგნები (თივა, ჩალა, ბზე, და სხვა), რომლებიც შესაძლებელია გასვრილი იყონ ჭირიანი საქონლის განავალით და

3. არ უნდა გაუშვათ ჩვენი საქონელი საბალახოთ იმ საბალახოებზე. სადაც ჭირით ავადმყოფი საქონელი ბალახობდა ან ბალახობს.

ვეტ-ექიმი: **ფარეიშვილი**

(დასასრული შემდეგ №-ში)

**გაუმარჯოს ქართულ წითელი ლაშქრის კოოპერაციას.**

# ომი და ქიმია

## „იპრიტი".

დი-ქლორ-ეტილ-სულფიდი ან ხარდალის აირი საარიო ომში ყველაზედ უძლიერესი საშუალებაა, რის გამო მას „აირების მეფეს" უწოდებდენ. ხარდალის აირი მეტად მკვიდრი შეერთებაა და ამას გარდა მას აქვს იმ გვარი თვისება, რაც მას მეტად ძვირფასად ჰქმნის სამხედრო საქმეში.

ეს თვისება მდგომარეობს კანზედ ბებერების, იარების გამოწვევის უნარში. მის მცირეოდენ ორთქლსაც კი შეუძლიან გამოიწვიოს ისეთი ბებერები და ტკივილები, რომ მოსარჩენად ერთი კვირიდან დაწყებული სამ თვემდე დროა საჭირო. ამ ორმა თვისებამ ანაზდეული იერიშის საჭიროება მოსპო. აღარაა საჭირო აგრეთვე საარტილერიო ცეცხლის დიდი დაჭიმვა. საკმარისია ახდილ ადგილზედ რამოდენიმე ყუმბარების გაშვება რომ რამოდენიმე საათსა და დღესაც კი უბედური შემთხვევა გამოწვეული იყოს. ხარდალის აირი იმიტომ ჰქვია, რომ თავის სუნით მოგაგონებს ხარდალს ან ნიორს. ფრანგები ამ აირს „იპრიტს" ეძახდენ და ეს სახელიც მას შერჩა, ვინაიდან იგი პირველად მდ. იპრთან იყო ნახმარი.

ხარდალის აირი პირველად მეცნიერმა რიჩიმ 1854 წ. მიიღო გოგირდის ეტილზედ ქლორის მოქმედებით. გუტრიმ, აღმოაჩინა მისი განსაკუთრებული და მძლავრი თვისება. დაწვრილებით იგი გამოიკვლია მეიერმა და მის მიერ გამონახულ საშუალებით გერმანელები ამზადებენ თავიანთ ხარდალის აირს.

გერმანელებმა იგი ომში მოიხმარეს შეტევით საშუალებათ მდ. იპრზედ 1917 წლ. 12—13 ივლისს, ხარდალის აირის საომარი მნიშვნელობა მაშინვე გაითვალისწინეს გერმანელებმა და გამოანგარიშებულია, რომ 1917 წლის ბოლოში მათ გაუსროლიათ 1.000.000 ყუმბარა, რომელიც შეიცავდა 1500 ტ. (155000 ფუთი) ხარდალის აირს-ამ აირის ერთი თვის მოხმარებამ იმსხვერპლა იმდენი კაცი, რამდენიც აირებისაგან იმ დრომდე იყო მოწამლული. ხარდალის აირი ისე საშინლად ჰმუსრავდა მოკავშირეების რიგებს, რომ 1917 წ. შემოდგომას ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკამ მთელი თავისი ტეხნიკური ძალების მობილიზაცია მოახდინეს ამ აირის ფართე მასშტაბით დამზადების მოსაწყობად.

დი-ქლორ-ეტილ-სულფიდი (ხარდალის აირი) უფერო, ზეთისმაგვარი სითხეა, ხარდალის სუსტი სუნით. წმინდა ნივთიერების სუნი წიწმატის სუნს მომგონებს. მიუხედავათ სუნისა, ჰაერში შეიძლება მეტად სახიფათო რაოდენობით შედიოდეს და მისი ყნოსვით გაგება კი არ შეიძლებოდეს. ხარდალის აირი წყალში თითქმის არ იხსნება, და სამაგიეროდ კარგად იხსნება სპირტში, ეთერში, ძმრის სიმჟავეში და სხვა.

ხარდალის აირის აღმოჩენა თავდაპირველათ ყნოსვის საშუალებით ხდებოდა და მაშინ თუ სუნს არა გრძნობდენ ხარდალის აირის ჰაერში არსებობას უვნებლად სთვლიდენ, რაც მართალი არ გამოდგა. გერმანელებს ჰქონდათ ყვითელი ნივთიერებით დაფარული დაფები, რომელნიც ხარდალის აირის არეში შავდებოდენ. ამ დაფებს იგინი დაპყრობილ ტრანშეების ძირში უშვებდენ და თუ რამოდენიმე წამის შემდეგ შავდებოდენ, ხარდალის აირის არსებობის მაჩვენებელი იყო.

მხოლოდ ეს საშვალება მოკავშირეთა მიერ არა საიმედოთ იყო ჩათვლილი და მათ თავის მხრივ გამოიგონეს ყვითელივე ფერის ემალისა და ზეთის საღებავი, რომელიც ხარდალის აირისაგან სწრაფად იცვლიდა ფერს და მუქ-წითელ ფერისა ხდებოდა. ემალის საღებავი შესდგებოდა წითელ ზეთიან და ცელულოიდის ლაქთან შერეულ ყვითელ ხრომისაგან; ზეთი საღებავი შესდგებოდა სელის ზეთისა და იაპონიური სივატივისაგან, რომელსაც ურევდენ ემალის საღებავს.

მხოლოდ ბრძოლის ველზედ ვერც ერთი საშუალება ვერ შეედრებოდა კარგად განვითარებულ ყნოსვას.

**გ. ბ—შვილი.**

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. დაუნდობელს** შემოიარეთ რედაქციაში ორშაბათ დილით.

ნ. დ. . ც.
ტირაჟი 1000
სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3.
პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.